

შპს „ვები“-ს მიერ შექმნილი პროდუქტებისა და მომსახურების ხელშეკრულება: N ----

1. აღნიშნული ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შპს „ვები“-ს მიერ, რომელიც შემდგომში მოხსენიებული იქნება როგორც შემსრულებელი, პროდუქტის ან მომსახურების მიწოდება ფიზიკური ან იურიდიული პირისთვის, რომელიც შემდგომში მოხსენიებული იქნება როგორც დამკვეთი.

2. შემსრულებლის უფლება მოვალეობები:

2.1. შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთს, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, მიაწოდოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან პროდუქტი.

2.2. შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთს მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია პროდუქტისა და მომსახურების შესახებ, ასევე პროდუქტისა და მომსახურების ექსპლუატაციის წესებისა და ვადების შესახებ.

2.3. შემსრულებელს უფლება აქვს უარი განაცხადოს პროდუქტის მიწოდებაზე ან მომსახურების განწევაზე თუ:

2.3.1. დამკვეთი, პროექტის ან მომსახურების განწვევის ნებისმიერ ეტაპზე მოითხოვს საქართველოს მოქმედი

კანონმდებლობით აკრძალული ნებისმიერი ტიპის ქმედების განხორციელებას, განხორციელებაში მხარდაჭერას ან განხორციელებელი უკანონო ქმედების დაფარვას. ასეთი ფაქტის არსებობის შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია განხორციელებული შესაძლო სამართალდარღვევის შესახებ აცნობოს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს.

2.3.2. დამკვეთი არ ასრულებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

2.4. შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს დამკვეთის ინფორმაციის

კონფიდენციალურობა, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ასევე საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

2.5. შემსრულებელს უფლება აქვს შეწყვიტოს დამკვეთისთვის მომსახურების განწევა, თუ დამკვეთის ნებისმიერი ქმედება ზიანს აყენებს ან შესაძლოა მომავალში მიაყენოს მატერიალური ან/და არამატერიალური ზიანი შემსრულებელს ან დამკვეთის ქმედებები ან უმოქმედობა საფრთხეს უქმნის შემსრულებლის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.

2.6. შემსრულებელს უფლება აქვს დამკვეთისგან მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მიადგა შემსრულებელს დამკვეთის პირდაპირი თუ არაპირდაპირი ქმედებისგან თუ უმოქმედობისგან.

2.7. შემსრულებელს უფლება აქვს საკუთარი შეხედულებისამებრ უარი განაცხადოს დამკვეთისთვის მომსახურების განწევაზე ან შეწყვიტოს მომსახურებისა და პროდუქტის მიწოდება. აღნიშნულის შესახებ შემსრულებელმა დამკვეთს უნდა აცნობოს მომსახურების განწევამდე 10 სამუშაო დღით ადრე.

3. დამკვეთის უფლება-მოვალეობები:

3.1. დამკვეთს უფლება აქვს სრულად მიიღოს ინფორმაცია კონტრაქტით გათვალისწინებული პროდუქტის, მომსახურების მიღების წესების, პირობების და ფასების შესახებ, ასევე მათი შემდგომი ექსპლუატაციისა და მენეჯმენტის შესახებ.

3.2. დამკვეთს უფლება აქვს მოითხოვოს შემსრულებლისაგან მისი კონფიდენციალური ინფორმაციის უსაფრთხო შენახვა, დამუშავება, ასევე მისი კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება-არგამოყენების საკითხი პროექტის ან მომსახურების მიწოდების პროცესში.

3.3. დამკვეთს უფლება აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში უარი განაცხადოს პროექტის ან მომსახურების მიღებაზე და დაიბრუნოს მის მიერ შემსრულებლისთვის, ამ ხელშეკრულებით გადახდილი თანხის 100%-მდე, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, გარდა იმ ხარჯებისა რომლებიც გადახდილია:

3.3.1. გადასახადების სახით, დღგ 18%;

3.3.2. მესამე პირებისგან პროდუქტის ან და მომსახურების განწვევისათვის აუცილებელი საშუალებების შესასყიდად: ლიცენზიები, სერვერული ინფრასტრუქტურა, დომენები, სერთიფიკატები და სხვა რომლებიც წარმოადგენენ დამკვეთის საკუთრებას, დამოუკიდებლად ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტის ან/და მომსახურებისაგან.

3.4. დამკვეთს უფლება აქვს მიიღოს შემსრულებლისგან დოკუმენტაცია, რომელიც შეიქმნა პროდუქტის ან მომსახურების განწვევისას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3.5. დამკვეთი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში მოახდინოს პროდუქტის ან მომსახურების საფასურის გადახდა.

3.6. დამკვეთს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მიადგა მას, შემსრულებლის ქმედების ან უმოქმედობის გამო, თუმცა, არა უმეტეს პროექტის ან მომსახურების 100%-ისა, რომელიც გაენია დამკვეთს ბოლო 1 კალენდარული თვის განმავლობაში, გარდა იმ ხარჯებისა რომლებიც გადახდილია:

3.6.1. გადასახადების სახით, დღგ 18%;

3.6.2. მესამე პირებისგან პროდუქტის ან და მომსახურების განვესათვის აუცილებელი საშუალებების შესასყიდად: ლიცენზიები, სერვერული ინფრასტრუქტურა, დომენები, სერთიფიკატები და სხვა რომლებიც წარმოადგენენ დამკვეთის საკუთრებას, დამოუკიდებლად ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტის ან/და მომსახურებისაგან.

3.7. დამკვეთს უფლება აქვს საკუთარი შეხედულებისამებრ შეწყვიტოს შემსრულებლისგან მომსახურების ან პროდუქტის მიღება. ამ შემთხვევაში გამოწვეულ ზიანზე, რომელიც შეიძლება მიადგეს დამკვეთს, პასუხისმგებელია დამკვეთი.

3.8. თუ მომსახურების ან პროდუქტს მიღებისას დამკვეთისთვის ცნობილი გახდა შესაძლო უკანონო ქმედების შესახებ შემსრულებლის ან სხვა პირის მიერ, დამკვეთი ვალდებულია იმოქმედოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.9. დამკვეთი ვალდებულია ზედმინევნით შეასრულოს შემსრულებლის მიერ მიწოდებული პროდუქტის ან მომსახურების ექსპლუატაციის წესები და პირობები. აღნიშნული პუნქტის დარღვევით მიყენებულ შესაძლო ზიანზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს.

4. პროდუქტის ან/და მომსახურების მოთხოვნები და ვადები.

4.1. ხელშეკრულება იდება: -----
თაობაზე,
ვადებში-----, შემსრულებელი-
შპს „ვები“,

დამკვეთი -----,
4.2. აღნიშნული ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შპს „ვები“-ს მიერ, რომელიც შემდგომში მოხსენებული იქნება როგორც შემსრულებელი, პროდუქტის ან მომსახურების მიწოდება -----სთვის, რომელიც

შემდგომში მოხსენიებული იქნება როგორც დამკვეთი.

4.3. მომსახურების აღწერა:

(პროდუქტის, მომსახურების აღწერა, მოთხოვნები, მახასიათებლები, თვისებები, ფუნქციები.)

4.3.1.

4.3.2.

4.3.3.

4.4. პროდუქტის არწერა:

(პროდუქტის, მომსახურების აღწერა, მოთხოვნები, მახასიათებლები, თვისებები, ფუნქციები.)

4.4.1.

4.4.2.

4.4.3.

4.5. ინფორმაციის განახლება, ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის ცვლილება, ასევე ნებისმიერი სხვა მომსახურება ან/და პროდუქტი, რომლის მიწოდებაც არ არის წინასწარ განსაზღვრული ხელშეკრულებით, არის ფასიანი.

4.6. აღნიშნული მომსახურების ფასი არ შეიძლება იყოს მეტი ვიდრე: იდენტური პროდუქტის ან მომსახურების ღირებულების 100%-ისა შპს „ვები“-ს ფასებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროდუქტი ან მომსახურება, რომელიც საჭიროებს განახლება/ცვლილებას არ არის შექმნილი შპს „ვები“-ს მიერ. ამ შემთხვევაში საკითხი განიხილება ინდივიდუალურად.

5. საფასური და ანგარიშგების ვადები.

5.1. ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს პროდუქტის ან მომსახურების ვადებისა და საფასურის განსაზღვრა.

5.2. შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს დამკვეთისგან პროდუქტის ან/და მომსახურების ღირებულების 50%- მდე ავანსი.

5.3. პროდუქტის ან/და მომსახურების მიწოდების ვადა განისაზღვროს: --- დღით, დროის ათვლა იწყება ხელშეკრულების ორმხრივი ხელმოწერის მომენტიდან ან

5.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საბანკო ანგარიშზე პროდუქტის ან/და მომსახურების ღირებულების არანაკლებ 35% -ის ჩარიცხვის მომენტიდან.

5.5. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტის ან/და მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ----ლარით.

5.6. დამკვეთი ვალდებულია სრულად დაფაროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ან/და პროდუქტის საფასურის 100% პროდუქტის ან/და მომსახურების მიღება-ჩაბარებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

5.6.1. იმ შემთხვევაში თუ დამკვეთი არ ასრულებს ამ ხელშეკრულების პუნქტი 5.6. -ით ნაკისრ ვალდებულებას, შემსრულებელს უფლება აქვს უარი განაცხადოს დამკვეთისთვის მომსახურების ან/და პროდუქტის მიწოდებაზე.

5.6.2. იმ შემთხვევაში თუ დამკვეთი არ ასრულებს ამ ხელშეკრულების პუნქტი 5.6. -ით ნაკისრ ვალდებულებას, შემსრულებელს უფლება აქვს უარი განაცხადოს დამკვეთისთვის მისგან ავანსად მიღებული თანხის სრულად ან ნაწილობრივ დაბრუნებაზე.

5.7. ანგარიშსწორება ხდება მხოლოდ საბანკო ანგარიშის: GE..... - მეშვეობით.

5.8. ხელშეკრულება შეიძლება ხელმოწერილი იქნას მხარეები მიერ ელექტრონულადაც.

5.9. ანგარიშსწორება.

5.9.1. დამკვეთის ანგარიშსწორება შემსრულებელთან.

5.9.2. დამკვეთი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტების ან/და მომსახურებების ღირებულების გადახდას ახდენს მხოლოდ ამ ხელშეკრულებაში მითითებულ ანგარიშზე.

5.9.3. ანგარიშსწორების დროს დამკვეთი ვალდებულია მიუთითოს შემდეგი ინფორმაცია:

5.9.3.1. შემსრულებლის ანგარიშის ნომერი: -----

5.9.3.2. თანხის დანიშნულებაში:

ხელშეკრულების ნომერი: -----, ამ ტრანზაქციის დასახელება:----- (ღირებულება, ავანსი, ა.შ) , ამ ტრანზაქციის პროცენტული წილი მთლიან

ღირებულებაში: ----- (მაგ: 50%).

5.9.3.3. დამკვეთს ნებაყოფლობით და ერთპიროვნულად აქვს უფლება შემსრულებელს გადაუხადოს მეტი, ვიდრე იყო გათვალისწინებული ხელშეკრულებით და დანიშნულებაში მიუთითოს: შემსრულებლის ანგარიშის

ნომერი: -----, ხელშეკრულების ნომერი: -----, ამ ტრანზაქციის დასახელება:----- (ბონუსი). ამ პუნქტით მიღებული თანხები არ ექვემდებარება დამკვეთისთვის უკან დაბრუნებას.

5.10. შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთთან ანგარიშსწორებისთვის გამოიყენოს მხოლოდ ის საბანკო ანგარიში, რომლიდანაც მოხდა დამკვეთისგან თანხის გადარიცხვა შემსრულებლისთვის, ან დამკვეთის მიერ მიწოდებული ალტერნატიული საბანკო ანგარიში, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს დამკვეთის მფლობელობაში ან/და კანონიერ სარგებლობაში.

5.11. ანგარიშსწორება მესამე მხარეებთან.

5.11.1. დამკვეთის ანგარიშსწორება მესამე მხარეებთან პროდუქტის ან/და მომსახურების განწევისთვის აუცილებელი პროდუქტების ან/და მომსახურების შესასყიდად.

5.11.2. შემსრულებელს უფლება აქვს დამკვეთს გაუწიოს რეკომენდაცია საკუთარი შეხედულებიდან გამომდინარე, მესამე პირისაგან პროდუქტის ან/და მომსახურების განწევისთვის აუცილებელი პროდუქტების ან/და მომსახურების შესასყიდად.

5.11.3. დამკვეთი ვალდებულია გადაამოწმოს ნებისმიერი მესამე პირის სანდოობა, რომლისგანაც ხდება პროდუქტის ან/და მომსახურების განწევისთვის აუცილებელი პროდუქტების ან/და მომსახურების შესყიდვა.

5.11.4. დამკვეთს უფლება აქვს არ დაეთანხმოს შემსრულებლის რეკომენდაციას და მოითხოვოს ალტერნატიული ვარიანტი.

5.11.5. მესამე მხარეებისგან მიღებულ პროდუქტებზე ან/და მომსახურებებზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ მხოლოდ აღნიშნული პროდუქტების ან/და მომსახურებების შემქმნელებს, მესამე მხარეებთან დადებული ხელშეკრულების ფარგლებში.

5.11.6. შემსრულებელს უფლება აქვს დამკვეთისგან მოითხოვოს მისივე პირადი, ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტის ან/და მომსახურების უსაფრთხოების მიზნით:

5.11.6.1. ახალი, დამოუკიდებელი საბანკო ბარათის დამზადება, რომელსაც ექნება დამოუკიდებელი საბანკო ანგარიში, ექნება გამორთული გადახარჯვის (ოვერდრაფტის) ფუნქცია და იქნება სადებეტო ტიპის. აღნიშნული საბანკო ბარათის მომსახურე ანგარიში და საბანკო ბარათი შეიძლება გამოყენებული იქნას შემსრულებელთან ანგარიშსწორებისთვის..

5.11.6.2. აღნიშნულ ბარათს გამოიყენებს მხოლოდ დამკვეთი, მხოლოდ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტის ან/და მომსახურებების შექმნისთვის აუცილებელი პროდუქტების ან/და მომსახურებების მესამე მხარეებისგან შესასყიდად და არ გადასცემს არანაირი ფორმით არავის, მათ შორის შემსრულებელსაც.

5.11.6.3. ახალი ელ. ფოსტის შექმნა.

5.11.6.4. კომპიუტერული ტექნიკის და კომპიუტერის ოპერაციული სისტემის უსაფრთხოება, რომელიც რაიმე ფორმით იქნება შეხებაში ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტის ან/და მომსახურების უსაფრთხოებასთან ან/და გამართულ ფუნქციონირებასთან.

6. ექსპლუატაციის წესები და პირობები.

6.1. წინასწარ შეთანხმებული საკომუნიკაციო საშუალებები და მათი გამოყენება:

6.1.1. შემსრულებელთან კომუნიკაცია ხდება წინასწარ შეთანხმებული საკომუნიკაციო საშუალებებით.

ელ. ფოსტა:

ტელეფონი:

6.1.2. დამკვეთთან კომუნიკაცია ხდება წინასწარ შეთანხმებული საკომუნიკაციო საშუალებებით.

ელ. ფოსტა:

ტელეფონი:

დისტანციური დესკტოპ აპლიკაცია:

6.2. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფი ღონისძიებები:

6.2.1. შემსრულებელს უფლება აქვს დამკვეთისგან მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტის ან/და მომსახურების უსაფრთხოებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება.

6.2.2. იმ შემთხვევაში თუ დამკვეთი არ შეასრულებს ამ ხელშეკრულების პუნქტი 6.2.1. -ის მოთხოვნებს, შემსრულებელს უფლება აქვს შეწყვიტოს დამკვეთისთვის მომსახურების განევა ან/და პროდუქტის მიწოდება. ასეთ შემთხვევაში ყველა ტიპის ზიანზე, რომელიც მიადგება დამკვეთს, პასუხილმგებლობა დაეკისრება დამკვეთს.

6.2.3. დამკვეთი ვალდებულია მის მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებული საკომუნიკაციო საშუალებების უსაფრთხოებაზე, მათ შორის:

6.2.3.1. კომპიუტერული და სატელეფონო სისტემების.

6.2.3.2. ელ. ფოსტის.

6.2.3.3. კომპიუტერული პროგრამების.

6.2.3.4. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტი ან/და მომსახურების კონფედენციალური ინფორმაციის, რომელსაც ინახავს დამკვეთი.

6.3. შემსრულებელი ვალდებულია მის მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებული საკომუნიკაციო საშუალებების უსაფრთხოებაზე, მათ შორის:

6.3.1. კომპიუტერული და სატელეფონო სისტემების.

6.3.2. ელ. ფოსტის.

6.3.3. კომპიუტერული პროგრამების.

6.3.4. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტი ან/და მომსახურების კონფედენციალური ინფორმაციის, რომელსაც ინახავს შემსრულებელი.

6.4. დისტანციური მომსახურების განევა:

6.4.1. შემსრულებელს უფლება აქვს მომსახურება ან/და პროდუქტი დამკვეთს მიწოდოს დისტანციური არხების საშუალებით, იმ შემთხვევაში თუ დამკვეთი უარს აცხადებს დისტანციური არხების საშუალებით სარგებლობაზე, შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი ანაზღაურება ან უარი განაცხადოს მომსახურების ან/და პროდუქტის დამკვეთისთვის მიწოდებაზე.

6.5. დამკვეთის იდენტიფიკაცია და/ან აუტორიზაცია:

6.5.1. შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს დამკვეთისგან კანონმდებლობით დასაშვები ნებისმიერი ტიპის იდენტიფიკაციის საშუალებით ვინაობის განსაზღვრა.

6.5.2. შემსრულებელს უფლება აქვს გამოიყენოს დამკვეთის იდენტიფიკაციის ან/და აუტორიზაციისთვის კანონმდებლობით დასაშვები საშუალებები.

6.6. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტის ან/და მომსახურების ექსპლუატაციის წესები:

6.6.1. დაუშვებელია შემსრულებელსა და დამკვეთს შორის არსებული კონფიდენციალური ინფორმაციის:

მომხმარებლის სახელების, პაროლების, კრიპტოგრაფიული გასაღებების, კომერციული საიდუმლოებების

ნებისმიერი ფორმით გადაცემა ან გაცნობა ნებისმიერი მესამე მხარისთვის.

6.6.2. ამ ხელშეკრულების პუნქტი 6.6.1 -ის დამრღვევი მხარე ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი რომელიც მიადგება შემსრულებელს ან დამკვეთს, თუმცა არა უმეტეს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტის ან/და მომსახურების თანხის 100%-ისა , გარდა იმ ხარჯებისა რომლებიც გადახდილია:

6.6.2.1. გადასახადების სახით, დღგ 18%;

6.6.2.2. მესამე პირებისგან პროდუქტის ან და მომსახურების განწვევსათვის აუცილებელი საშუალებების შესასყიდად: ლიცენზიები, სერვერული ინფრასტრუქტურა, დომეინები, სერთიფიკატები და სხვა რომლებიც წარმოადგენენ დამკვეთის საკუთრებას, დამოუკიდებლად ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტის ან/და მომსახურებისაგან.

7. საგარანტიო მომსახურების წესები და პირობები.

7.1. საგარანტიო საგანს წარმოადგენს ხელშეკრულება N ----ით გათვალისწინებული პროდუქტი, მომსახურება;

7.2. შემსრულებელი ვალდებულია საგარანტიო პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოს პროდუქტის/მომსახურების ფუნქციონირება, ისე როგორც ფუნქციონირდება მიღება-ჩაბარების მომენტში, რასაც დამკვეთი ადასტურებს პროდუქტის/მომსახურების შემოწმებისა და ჩაბარების შემდგომ, ხელმოწერით.

7.3. ხელშეკრულება N---- -ით გათვალისწინებული საგარანტიო მომსახურება შეადგენს -- თვეს; საგარანტიო

პერიოდის ათვლა იწყება პროდუქტის/მომსახურების დამკვეთისთვის ჩაბარების დღიდან.

7.4. შემსრულებელს აქვს უფლება უარი განაცხადოს უფასო საგარანტიო მომსახურებაზე თუ:

7.4.1. დამკვეთმა დაარღვია ექსპლუატაციის წესები.

7.4.2. შემსრულებელთან შეუთანხმებლად მოახდინა პროდუქტის/მომსახურების მოდიფიკაცია

7.4.3. დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ან არ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობები.

7.5. შემსრულებელი ვალდებულია 30 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს დამკვეთისთვის საგარანტიო მომსახურების განწვევა უფასოდ თუ:

7.5.1. საგარანტიო საგანი არ ფუნქციონირებს ხელშეკრულების შესაბამისად.

7.5.2. საგარანტიო საგანს აღენიშნება მნიშვნელოვანი დეფექტი ან ფუნქციონირებს შეფერხებით.

7.6. იმ შემთხვევაში თუ ,საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, შემსრულებელი ვერ

უზრუნველყოფს, 30 სამუშაო დღის განმავლობაში, საგარანტიო საგანის გამართული

ფუნქციონირების უზრუნველოფას, რასაც დაეთანხმება დამკვეთი:

შემსრულებელი ვალდებულია 20 სამუშაო დღის ვადაში მოახდინოს ამავე ხელშეკრულების N....

მიხედვით , ფიქსირებული პროდუქტის/მომსახურების ღირებულების 100%-ამდე დაბრუნება დამკვეთისთვის, გარდა იმ ხარჯებისა რომლებიც გადახდილია:

7.6.1. გადასახადების სახით, დღგ 18%;

7.6.2. მესამე პირებისგან პროდუქტის ან/და მომსახურების განწვევსათვის აუცილებელი

საშუალებების შესასყიდად: ლიცენზიები, სერვერული ინფრასტრუქტურა, დომეინები,

სერთიფიკატები და სხვა რომლებიც

წარმოადგენენ დამკვეთის საკუთრებას, დამოუკიდებლად ამ ხელშეკრულებით

გათვალისწინებული პროდუქტის ან/და მომსახურებისაგან.

ხელშეკრულების შედგენის თარიღი:

ხელმოწერით ვადასტურებ რომ სრულად გავეცანი და ვეთანხმები აღნიშნულ ხელშეკრულებას:

დამკვეთი:

შემსრულებელი: